ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

რელიგია, პოლიტიკა და „კარგი მოქალაქის“ სოციალური კონსტრუქცია თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში

შემსრულებელი: ნატო ბერიაშვილი

„სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერება და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოთხოვნის შესაბამისად“

პროგრამა: სოციოლოგია

ხელმძღვანელი: ანა კირვალიძე - სოციოლოგიის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ცრმს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნატო ბერიაშვილი

06.08.2015

აბსტრაქტი

თანამედროვე საზოგადოებაში სამოქალაქო პროცესების მსვლელობის პროცესში გადამწყვეტ როლს თამაშობენ რელიგიური შეხედულებები. რელიგიური სწავლებები ადამიანებს სთავაზობენ სამყაროს აღქმის მათეულ ხედვას და ქცევის გარკვეულ მოდელებს, რომლებიც რიგ შემთხვევებში იქცევიან სამოქალაქო პროცესებში აქტიური ჩართულობის მთავარ მოტივატორებად.

იქიდან გამომდინარე, რომ სამოქალაქო პროცესები ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია პოლიტიკურ პროცესებთან, რელიგიურობის დონეს დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკის აღქმის პროცესშიც და პოლიტიკისადმი დამოკიდებულებაშიც.

კვლევის მიზანი პასუხობს შემდეგ კითხვებს: როგორია ნდობის ხარისხი რელიგიური დაპოლიტიკური ინსტიტუტებისადმი და როგორ იცვლება, როგორ აისახება რელიგიურობის დონე სამოქალაქო ჩართულობაზე და სამოქალაქო აქტივობის დონეზე. ასევე, როგორ აისახება რელიგიურობის დონე ისეთი სამოქალაქო - პოლიტიკური აქტივობების განხორციელებაზე, როგორ არის არჩევნებში მონაწილეობა ან აქციებში მონაწილეობა და „კარგი მოქალაქის“, როგორც ასეთის გაგებასა და აღქმაზე.

კვლევაში გამოყენებული იყო კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) -ის კვლევის „კავკასიის ბარომეტრის“ მონაცემები, რომლებიც მოიცავს 2011 – 2013 წლებს.

კვლევის მეთოდოლოგიას წარმოადგენდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, კვლევის ტექნიკად გამოყენებული იყო პირისპირ ინტერვიუ.

კვლევის შედეგები საშუალებას მოგვცემს მივიღოთ ახალი ინფორმაცია რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებების მიმართებებთან დაკავშრებით და გავაანალიზოთ რა როლს თამაშობს რელიგიურობის დონე და რელიგიური შეხედულებები სამოქალაქო აქტივობებისა და სამოქალაქო ჩართულობის თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: <u>მოქალაქეობა, სამოქალაქო აქტივობა/ჩართულობა, რელიგია, პოლიტიკა.</u>

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ანუკა კირვალიძეს.